კურსის აღწერა:

„კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსი „მწვანე (მდგრად) მშენებლობაში“ განიხილება როგორც პროდუქტი პროფესიის მაძიებელთა განათლებისთვის. კურსი დაეხმარება სამშენებლო სექტორში მოღვაწე გადაწყვეტილების მიმღებ პროფესიონალებს (არქიტექტორები, ინჟინრები, დეველოპერები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მოღვაწე ჩინოვნიკები და სხვ.) და საკითხით დაინტერესებულ მსურველებს მწვანე მშებნებლობის საფუძვლების დაუფლებაში.

ასეთი სასწავლო მოდულის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია ახალგაზრდა და ზრდასრულ ადამიანთა დასაქმების პოტენციალის გაზრდის სურვილით. მის მიზანს წარმოადგენს პროფესიონალი ტრეინერების მომზადება შემდგომში სხვა პიროვნებების გადასამზადებლად და მათთვის მწვანე მშენებლობის უნარ- ჩვევების გასაზიარებლად.

მას მერე, რაც საქართველოს მოსახლეობამ განუსაზღვრა საკუთარ მთავრობას ამოცანა გაერთიანებულიყო საერთო ევროპულ ოჯახში, მწვანე ცხოვრების წესი მარკეტინგული კომპონენტიდან გადადის საკანონმდებლო სფეროში და ხდება მოსახლეობის ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ძირითადი ნორმა. ასეთი მიმართულებით განვითარება უკავშირდება ახალი სპეციალობების წარმოშობას, როგორიცაა: მწვანე ზედამხედველი, ენერგოაუდიტი, ნარჩენების მართვის ინჟინერი და სხვ.. შენობების ძირითადი მახასიათებელი კომპონენტი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ხარჯთეფექტურობასთან, შენობის ხარჯებს კი წარმოადგენს დანახარჯები ენერგიაზე, ამიტომ განმსაზრვრელი მწვანე მშენებლობაში, გარემოსდაცვით კომპონენტებთან ერთად, გახლავთ ენერგოეფექტური ღონისძიებები. სასწავლო კურსში ზედაპირზე გამოტანილია ენერგოეფექტური ღონისძიებების და მასთან ერთად განახლებადი ენერგიების გენერატორების მნიშვნელობა.

კურსი განიხილავს არსებული შენობებისათვის მწვანე სტატუსის მინიჭებას და შენობათა მენეჯმენტის მწვანე მეთოდილოგიებს.

მასალები წარმოდგენილია სილაბუსის სახით, რომელიც თვალსაჩინოებისათვის აღჭურვილია ორი ვიდერგოლით და ხუთი პრეზენტაციით, პოვერფოინთის ფაილში (სულ: **120** სლაიდი). ტრეინინგ კურსი გაწერილია **4** აკადემიური საათისათვის."

პატივისცემით

ზაალ ხელაძე